საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თეთნულდი

თეთნულდი

თეთნულდი, მწვერვალი მესტიის მუნიციპალიტეტში, სვანეთის კავკასიონის მთავარ ქედზე, მდ. ადიშჭალის (ენგურის მარჯვ. შენაკადი) სათავეებში. სიმაღლე 4858 მ. აგებულია პალეოზოური ასაკის კრისტ. ფიქლებითა და გრანიტოიდებით. კალთებზე არის მყინვარები.

1887 თ-ზე პირველად ავიდნენ დ. ფრეშფილდი და მ. დეში ორ მეგზურთან ერთად, 1891 – გ. მერცბახერი და ლ. პურჩელერი ასევე ორ მეგზურთან ერთად. 1930 თ. დალაშქრეს ქართველმა მთამსვლელებმა: ალექსანდრე ჯაფარიძემ (ხელმძღვ.) ალექსანდრა ჯაფარიძემ ი. კაზალიკაშვილმა ა. ავალიანმა.

თ-ზე ალპინისტების ს. ჯაფარიძის და პ. დვალის დაღუპვის (1929) გამო მწვერვალის სამხრ.-დას. კალთის გაშიშვლებულ კლდეზე მიმაგრებული იყო მემორიალური დაფა. ამ ადგილს „ჯაფარიძის მოწმეები" ეწოდება.

1954 ქართვ. მთამსვლელებმა მ. გვარლიანმა (ხელმძღვ.), გ. გულბანმა, გ. ყალაბეგაშვილმა, დალაშქრეს სამხრ.-აღმ. პამირის უსახელო მწვერვალი რ-საც დაარქვეს „თეთნულდზე დაღუპულთა ხსოვნის მწვერვალი".

2016 გაიხსნა მულახის თემში შემავალი, საერთაშორისო სტანდარტების სამთო-სათხილამური კურორტი „თეთნულდი". კურორტი ზ. დონიდან 2200 მ სიმაღლეზე

მდებარეობს. მას შეუძლია 6806 დამსვენებლის მიღება. სათხილამურო კომპლექსი კი ერთდროულად 4100 მოთხილამურეს ემსახურება.

ე. ლოლუა

მ. უთმელიძე